ფერადი ზღვები

დედამიწაზე თურმე რამდენიმე ფერის ზღვა არსებობს. წაიკითხე ტექსტი და ამ თემაზე ბევრ საინტერესოს გაიგებ.

ზოგი ზღვის სახელი ფერის აღმნიშვნელი სიტყვაა. ასეთი ზღვა სულ ოთხია: შავი, თეთრი, წითელი და ყვითელი. მოდი გავიგოთ, რატომ დაარქვეს მათ ასე.

შავი ზღვა ჩვენს ქვეყანას დასავლეთიდან ესაზღვრება. რატომ ჰქვია მას შავი, როდესაც ზღვის წყალი ლურჯი ფერისაა? ამის რამდენიმე მიზეზს ასახელებენ. ერთი მიზეზი ისაა, რომ ზღვის წყალი ავდარში ფერს იცვლის. იგი მუქი ნაცრისფერი ხდება. ზოგი მეცნიერის **ვარაუდით**, სახელი მას ძველმა ბერძნებმა დაარქვეს, რადგან შავ ზღვაზე ნაოსნობა ძალიან რთული იყო. არსებობს სხვა მოსაზრებაც. თურქულ ენაში **ძველად** შავი (თურქულად – „კარა“) თურმე ჩრდილოეთს აღნიშნავდა. თურქეთის ამ მხარეს მდებარე ზღვასაც ამიტომ დაერქვა შავი ზღვა („კარა დენიზი“).

თეთრი ზღვა რუსეთში მდებარეობს. მართალია, ამ ზღვის წყალიც ლურჯია, მაგრამ ზამთარში მთლიანად ყინულით იფარება. თეთრი ზღვაც ამიტომ დაერქვა. ზოგჯერ აქ ტემპერატურა -40^{0}C-ზეც კი ჩამოდის. მიუხედავად ამისა, თეთრ ზღვაში მაინც უამრავი თევზი ბინადრობს.

წითელი ზღვა აზიასა და აფრიკას შორის არის მოქცეული. ზოგჯერ მის ზედაპირს წითელი წყალმცენარეები მოედება ხოლმე. ამის გამო წყალს წითელი ფერი დაჰკრავს. თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც. წითელი ფერი ძველად სამხრეთს აღნიშნავდა. შესაბამისად, წითელი ზღვა სამხრეთის ზღვას გულისხმობს. აქ წყლის სითბო არასოდეს ჩამოდის +21^{0}C-ს ქვემოთ. იგი მდიდარია თევზით.

ყვითელი ზღვა აზიას ესაზღვრება. მასში მდინარე ხუანხეს ბევრი ოქროსფერი ქვიშა ჩააქვს და ზღვაც ყვითლად **იფერება**. თვითონ ხუანხეც ასე ითარგმნება – „ყვითელი მდინარე“. ყვითელი ზღვა არ არის ღრმა, მაგრამ სწრაფი და ძლიერი ტალღებით გამოირჩევა. ამ ზღვაშიც ბევრი თევზი ბინადრობს.

ფერადი ზღვების არსებობა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, თუ როგორი ლამაზი და მრავალფეროვანია ჩვენი პლანეტა.

რომელი ფერადი ზღვის ნახვას ისურვებდი პირველ რიგში და რატომ?

კომპონენტი: *მიზეზი, შედეგი*, **დონე:** *4.1*

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 არსებობს მოსაზრება, ზღვას შავი უწოდეს იმის გამო, რომ:

ა) იგი ავდარში მუქი ნაცრისფერი ხდება.

ბ) მის ზედაპირზე წყალმცენარეები ტივტივებს.

გ) იგი საქართველოს დასავლეთიდან ესაზღვრება.

2 ერთ-ერთ ზღვას, ლურჯი წყლის მიუხედავად, თეთრი ჰქვია, რადგან:

ა) ზამთარში ის სულ ყინულით იფარება.

ბ) ზამთარში მისი ტემპერატურა -40^{0}C-ია.

გ) წყალში უამრავი თევზი ბინადრობს.

3 მეოთხე აბზაცში ჩანს იმის მიზეზი, თუ:

ა) რატომ არასოდეს იყინება წითელი ზღვა.

ბ) რატომ არის წითელი ზღვა თევზებით მდიდარი.

გ) რატომ ედება წყლის ზედაპირს წყალმცენარეები.

4 ერთ-ერთ ზღვას ყვითელი იმის გამო დაერქვა, რომ:

ა) ზღვაში ოქროსფერი თევზების გამრავლების კარგი პირობებია.

ბ) ზღვის წყალს ოქროსფერი ქვიშა ყვითლად აფერადებს.

გ) მდინარეს, რომელიც ზღვაში ჩაედინება, ყვითელი ჰქვია.

5 რის მიზეზი *<u>არ ჩანს</u>* ტექსტში?

ა) რატომ არის წითელი ზღვა სულ თბილი.

ბ) რატომ მოაქვს ხუანხეს ოქროსფერი ქვიშა.

გ) რატომ იყინება თეთრი ზღვა ზამთარში.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. ზღვების სახელწოდების შესახებ არსებობს რამდენიმე **ვარაუდი.**

   ა) დასკვნა. ბ) მოსაზრება. გ) ფაქტი.

2. წითელი ფერი **ძველად** სამხრეთს აღნიშნავდა.

   ა) ალბათ. ბ) მუდამ. გ) წინათ.

3. ზღვა ყვითლად **იფერება.** სიტყვა **იფერება** ნიშნავს:

   ა) ფერი გადასდის. ბ) ფერი ეცვლება. გ) ფერს იღებს.

2 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები)?

ა) მუქი – ღია. ბ) ფერადი – ჭრელი. გ) წყნარი – მშვიდი.

3 რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები)?

ა) თბილი – ცივი. ბ) სწრაფი – ჩქარი. გ) ძლიერი – სუსტი.

▶▶▶ გრამატიკა

1 დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვა სწორი ფორმით.

1. წითელი ზღვა (აზია) ---------- სანაპიროსთან მდებარეობს.

2 იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.

	☒ **დაკრავს.**	☐ **დაჰკრავს.**
1.	☐ ჰქვია.	☐ ქვია.
2.	☐ ძველად.	☐ ძველათ.
3.	☐ ჩვენს ქვეყანაში.	☐ ჩვენ ქვეყანაში.
4.	☐ თვითეული.	☐ თითოეული.

გრამატიკა

3 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. წითელი ზღვის წყალი თბილია, ---------- ის სამხრეთში მდებარეობს.

(რადგან / რათა)

2. თეთრ ზღვაში უამრავი ---------- ბინადრობს. *(თევზი / თევზები)*

4 დაწერე ნიმუშის მიხედვით მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვები.

ნიმუში: თბილი – გათბა.

1. მრავალი – ---------- .
2. თეთრი – ---------- .
3. ლამაზი – ---------- .
3. ლურჯი – ---------- .

წერა

1 ტექსტის მიხედვით შეავსე სქემა. გრაფებში ჩაწერე თითოეული ზღვის მახასიათებლები.

შავი ზღვა	თეთრი ზღვა	წითელი ზღვა	ყვითელი ზღვა
• *ჩვენს ქვეყანას დასავლეთიდან ესაზღვრება.* • *წყალი ლურჯია.* • *ავდარში წყალი მუქი ნაცრისფერია.*			

2 წარმოიდგინე, რომ გაიცანი ტურტისტი. ის ცხოვრობს ქალაქში, რომელიც ერთ-ერთი ფერადი ზღვის სანაპიროზეა გაშენებული.

შენ მისგან ინტერვიუს აღება გადაწყვიტე. მოემზადე ინტერვიუსთვის: ჩამოწერე კითხვები, რომელთა საშუალებით გაიგებ მეტს ფერადი ზღვის შესახებ.

შეკითხვები ინტერვიუსთვის:

1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------